სახალხო გაზეთი

№ 143 ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 143

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 4 მ., საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. შეტცლ და ამხ-ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავენ, ინახავენ ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნამუშევდეს 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

* * * * ხელის მომწერთა საყურადღებოდ * * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმოწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა დიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.**

შაბათს, 30 ამ თვეს, გარდახდილ იქმნება წმინდა იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში, ვერაზედ, ორმოცის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად მოკლულის ნაზრანის ოკრუგის უფროსის

თავად გიორგი ალექს ნდრეს ძის ანდრონიკოვის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულ მწუხარენი აუწყებენ ნათესავია, ნაცნობთა, და მეგობართა უბე- ური დედა კნეინა **დარია ლევანის ასული**, ქვრივი მისი, კნეინა **ეკატერინე სვიმონის ასული ანდრონიკოვებისა**, დები კნეინა **ეკატერინე თარხანმოურავოვისა** და კნეინა **ელენე ბებუთოვისა**. წირვა დაიწყება 10 საათზე პანაშვიდი 12 ს. (1—175—1)

რ. ა. პოლიტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ქალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაბების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს ხატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოგვიმული მაქვს საზღვარიდან, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მდებარეობს ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—24)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსასვლელად ავადმყოფთათვის, ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მაქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. ვ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ბოგდანი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოხოვი დ. ვ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ—5. 474)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედეგანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკა გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინა ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ს.ბ. 10—12 ს.

ქაქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., დ. პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დეკაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფარადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

ბაბოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოველ დღე 2—2-ნახ. ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც გაუგზავნეს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მახეთიდან დაწყებული. ოპერაციები, კონსულტაციები, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეუძლიათ. საათასორით. (200—5.—311)

ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (სახლიდან). ძველ ბაზრის ბრუსოვის ქუჩა, № 36, ტელეფონი N 288. (100—ნალ.—65)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე განისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

აზიური ბუფეტი მტკვარზე

მ. ბ. კირაკოზოვისა

ვორონცოვის ქუჩის პირდაპირ ტელ. N 103.

ყოველ-დღე სადილის დროს 2-დან 4 საათამდე და საღამოთი 9-დან ღამის 2 **საათამდე** უკრავს ახლად მოსული ინტერნაციონალური სიმებიანი ორკესტრი სოლო-კონცერტისტის ა. გ. ეგიაზაროვის ლოტბარობით. (10—163—4)

მოითხოვეთ ახალი პაპიროსი

„ანფისა“

ფასი 15 ცალი 6 კაპ.
„ 25 „ 10 კაპ.

„მირა“ ფაგრესტისა.

მიუხედავად იაფი და ყველასათვის მისაწვდომ ფასებისა, პაპიროსი **„ანფისა“** შემზადებულია მაღალ ხარისხოვან და გემოვნების თამბაქოსაგან.

მიაქციეთ ყურადღება საუკეთესო ხარისხს და გემოვნებას. (15—150—4)

ნინო ჩხეიძის გასტროლი

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** **წარმოდგენა № 16.**

ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს, 1910 წელს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

მეოგლეურ ძერ-ქვეშ

დრამა 4 მოქმედებად გ. ზუდერმანისა. თარგმანი ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ-ნნი: აბაშიძე ტ., ვიქტორელი მ., კარგარეთელი ა., პიერეტტა ა., ქილარჯიშვილი მ., შუთაძე ა., ჩერქეზიშვილი ე., ბ-ნნი: გუნია ვ., ყივიძე ი., ზარდალიშვილი ი., მდივანი ბ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოება. **რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.**

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ. მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. გუბერნები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აცნობებს, რომ სოჭძღვდების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მსურველ ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა იხსდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „მისს ჯოს“, „მირრა ეფრეს“ და სხვა.

ექიმი ე. ი. მინასიანცი სწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბეტის ქუჩა N 39. (100—10)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩაზე. ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე, და საღამოს 5—8 საათამდე.

მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—8)

სამკურნალო

სპეციალისტ სამწყალო ექიმებისა გარედან მოსახარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაწყლებლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ხარაბ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეოფრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ხუთშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მანსი—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 11½—3 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ნოკიცკი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ვესელოვზოლოვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.

ბატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკარტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

ფონდოვევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 11—12ს. დილ.

ი. მ. ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—5.—12)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ბალი სოფლისა

გამოცემა **მიხეილ ნემსაძისა**

ფასი 10 კაპეიკი.

ადრესი: ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა.

ტელეფ. № 372.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გადეკანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—69)

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პრუსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვ. სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კაბეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლის და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—247)

ექიმი ძ. ძუთაისში ვ. თ. ტყეშელაშვილი დაბრუნდა ხაზოვარ გარეთიდან განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აპარატებისა, სიფილისის და კანის სნეულება ავადმყოფთ. 9—1 ს. 6—8 საღ., თბილისის ქ., ყარაულოვის სახლი. (5—170—4).

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კრუბნის ქ., № 2. (უ)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაგინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—20)

ტფილისი, 28 ოქტომბერი

კანონ-პროექტი პირველ-დაწყებითი სკოლების შესახებ. სახელმწიფო სათათბირომ ეხლანდელი სესია საყურადღებო კანონ-პროექტის განხილვით დაიწყო; საქმე პირველ-დაწყებითი სკოლებს შეეხება. ამ კანონ-პროექტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი კამათი გამოიწვია სათათბიროში. ილაპარაკა სახალხო განათლების ახალმა მინისტრმაც. ეს კანონ-პროექტი და მსჯელობა დეპუტატებისა მის შესახებ ბევრის მხრით არის საინტერესო, მაგრამ ჩვენ ამ ჟამად მხოლოდ ერთზე მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას: რა ბედი მოელით არა-რუსებს, ეგრედ წოდებულ, „ინოროდცებს“. სახალხო განათლების კომისიის კანონ-პროექტით, სამშობლო ენაზე სწავლება მხოლოდ პირველ ორს წელიწადს შეიძლება. მინისტრი კმაყოფილებით აღნიშნავს, მეც თანახმა ვარ ამისაო. ამ რიგად, იმედი უნდა გვქონდეს, რომ ეს წესი მართლაც ნორმად გადაიქცევა და სამშობლო ენაზე სწავლება ორი კლასის შემდეგ სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებად იქმნება აღიარებული.

როგორც კომისიის წევრებს, ისე მინისტრს შეუძლიანთ გაიხილონ ეს საკითხი ორ საირის თვალსაზრისით: სახელმწიფოებრივის და პედაგოგიურის. თქმა არ უნდა, პედაგოგიის პრინციპების თანახმად გადაწყვეტა ამ საკითხისა წინააღმდეგი არ იქნებოდა სახელმწიფოს ინტერესებისა, ეს ინტერესი რომ ისე ესმოდეთ, როგორც საჭიროა მისი გაგება. მაგრამ რუსეთის ბედის მესვეურთ ისე უმართებლოდ ესმით სახელმწიფოებრივი ინტერესი, რომ ლამის არის თვით ფაქტი „ინოროდცების“ არსებობისა მათ დანაშაულებად ჩაუთვალონ. კომისიისა და მინისტრის აზრით, შესაძლებელია პირველ ორს კლასში სწავლა სამშობლო ენაზე სწარმოებდეს. რათა? რა მოსაზრების ძალით შეიძლება ამის აღიარება? გვიპასუხებენ: პედაგოგიური მოსაზრებანი გვაიძულეს პატარა ბავშვებს სწავლა სამშობლო ენაზე დავაწყებინოთო? ძალიან კარგი. მაგრამ განა იგივე მოსაზრება არ გვავალებს სწავლა სამშობლო ენაზე მესამე განყოფილებიდან დავიწყოთ, მეოთხიდან და ასე ბოლომდე? ლოლიკა ამას მოითხოვს, მაგრამ როგორცა სჩანს, ლოლიკა სახსენებელიც არა ყოფილა იქ, სადაც საქმე „უმაღლეს“ სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეეხება. მაგრამ რა კრიტერიუმის ძალით საზღვრავენ კლასებს და რა მოსაზრებით ამტკიცებენ, რომ თუ მეორე განყოფილებამდე ვასწავლეთ სამშობლო ენაზე, სახელმწიფო უზრუნველყოფილი იქნება საფრთხეებისაგან, თუ არა და—დიდს განსაცდელში ჩავარდებაო.

მაგრამ არა, სახელმწიფოებრივი ინტერესი აქ არაფერ შუაშია. ქართველებს თავისუფლად შეეძლოდ თუნდაც გიმნაზიის პირველ კლასამდე საგნები სამშობლო ენაზე ესწავლათ, რუსეთი კი ისევ რუსეთად დარჩებოდა. ჩვენ გვესმის, როდესაც ბიუროკრატია პედაგოგიის მოთხოვნილებებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს და, მიუხედავად საღ აზროვნებისა, სწავლებას მაინც რუსულ ენაზე თხოულობს. მაგრამ გასაოცარია, როდესაც ამას სჩადის პარტია, რომელსაც დროშაზე ეროვნებათა თანასწორობა უწერია კანონის წინაშე. ქართველებს სხვა წვრილ ერებთან ერთად, თანახმად სათათბიროს ხელ-ძღვანელ პარტიის აზრისა, შეუძლიანთ მოითხოვონ საერთო სამართალი, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება თავისუფალ აზროვნებისა, თავისუფლად განვითარებისა, თავისუფლად აღზრდისა. ჩვენ უყურადღებოდ არა ვსტოვებთ სხვა ერთა ინტერესებს, მაგრამ არ შეგვიძლიან რუსულ ენას სახელმწიფო ენის უფლება წავართვათო,—ამბობენ ოქტომბრისტები, თითქოს ვინმე რუსულ ენას ამ უფლებას ართმევდეს. ყოველნაირი სახელმწიფო ენა საზოგადოდ ისეთი რამ არის, რომ მისი შესწავლა აუცილებელი ხდება ძალ-დაუტანებლადაც; წვრილ ერებს ამის სურვილიც ჩომ არა ჰქონდეთ,, ისინი მაინც იძულებულნი იქმნებოდნენ რუსული ენა შეესწავლათ მარტო იმიტომ, რომ იგი სახელმწიფო ენაა. მაგრამ ამისათვის განა აუცილებლად საჭიროა, რომ პატარა ბავშვებს ტვინი გამოულაყოთ უცხო ენის სწავლებით? სრულიადაც არა. ამისათვის საკმარისი იქნებოდა რუსული ენის სწავლება, როგორც საგნისა. მაგრამ ოქტომბრისტები ასე არ იქცევიან. ისინი სამშობლო ენაზე სწავლებას პირველ ორს კლასში სტოვებენ და ამით მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ისინი ისევე არიან გატაკებულნი გამარუსებელ პოლიტიკით, როგორც ბიუროკრატია. მხოლოდ „ინოროდცების“ გარუსების პოლიტიკა მოითხოვს ამისთანა უკიდურეს ზომებს და რეპრესიებს სწავლა-აღზრდაში. ამიტომ ჩვენ თამამად შეგვიძლიან ოქტომბრისტებსაც რუსიფიკატორები ეუწოდოთ. მაღალ-მაღალი ფრაზებით ვერავინ ვერაფერს დაამტკიცებს. ოქტომბრისტებსაც ვერ შეუძლიანთ თავიანთ პროგრესივობაზე ილაპარაკონ მაშინ, როდესაც საქმით ასეთს მომაკვდინებელ დანაშაულობას სჩადიან. ოქტომბრისტების პარტიას საშუალება ეძლეოდა სწავლა-აღზრდის საქმეში მაინც გამოეჩინა ცოტაოდენი რადიკალობა, თუმცა ეს რადიკალობა კი არა, მხოლოდ ბიუროკრატიის მახინჯ მოქმედების დაგმობის მეტი არაფერი იქნებოდა, მაგრამ „დაკარგულ თამასუქის პარტიამ“ ეს უბრალო რამეც ვერ მოახერხა. განა ამის შემდეგ მათ უფლება აქვთ თავიანთ თავს „კონსტიტუციონალური პარტია“ უწოდონ?

კ. დევ თეატრის შესახებ. რეპერტუარი თითქმის ყველა ადგილობრივ გაზეთებისა ერთხმად აღნიშნავენ, წარმოდგენები იშვიათის ანსამბლით იმართება ხოლმეო. ჩვენც ვამჩნევთ, რომ ქართულს თეატრს გამოცოცხლება დაეტყო; ხან და ხან კვირაში ოთხს წარმოდგენას მართავენ ხოლმე; წარმოდგენებში თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე მსახიობები მონაწილეობენ, მაგრამ როლის უცოდინარობა მაინც ნაკლებად ემჩნევათ. სცენა ყოველთვის კარგად არის მოწყობილი ხოლმე. რეპერტუარის მხრითაც, ცდილობენ შეძლებისა დაგვარად კარგი და შინაარსიანი რეპერტუარი მიაწოდონ საზოგადოებას. ვინც ახლო იცნობს ჩვენს თეატრს, ვინც იცის, რა აუტანელ პირობებშა უხდებათ მუშაობა ჩვენს სცენის მოღვაწეთ, მიხვდება, რამდენ შრომასა და ენერგიას თხოულობს თვითოეული რიგიანად დადგმული წარმოდგენა. მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენმა მსახიობებმა სძლიეს ეს დაბრკოლებანი და ჯერ-ჯეროობით პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ქართულს თეატრს თანა-სდევს ერთი ნაკლი, რომელიც შესაძლებელია ჩვენი საერთო სიდუხჭირის გამონაკადი იყოს. თუ ქართულმა თეატრმა ეს ნაკლიც თავიდან აიცდინა, ძალიან კარგი იქმნება. მწერლობა და თეატრი ხელი-ხელ ჩაკიდებულები უნდა მიდიოდნენ და ერთსულოვნად უნდა ეწეოდნენ მძიმე ჭაპანს. განსაკუთრებით ეს ითქმის ქართულს თეატრზე, რომელიც ჯერ კიდევ დიდს ეროვნულ დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს. თუ ეს ასეა, მაშინ თვით სცენის მუშაკთა და მწერალთა შორის გაცილებით მეტი კავშირი და ურთიერთობა უნდა არსებობდეს, ვიდრე დღეს არსებობს.

ამისათვის ის საერთო კითხვების მართვა არა კმარა, რომლებსაც, მაგალითად, შარშან მართავდნენ მსახიობები ზოგიერთს ლიტერატორებთან. ასეთი ოფიციალური კითხვები ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანენ. საჭიროა, რომ მსაბიობთა და მწერალთა შორის მუდმივი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შინაურული კავშირი, არსებობდეს. მწერლები და მსახიობნი უნდა წარმოადგენდნენ ერთს განუყოფელ წრეს, სულიერად დაკავშირებულს. შინაურული, ეგობრული

განწყობილება თავის-თავად გამოიწვევს თავისუფალ აზრთა გაცვლა-გამოცვლას, თავისუფალ მსჯელობას, რომელიც სავსებით იქითკენ იქნება მიმართული, რომ საერთო საყვარელ საქმეს საერთოდ ძალ-ღონით გამოუძებნონ გასაუმჯობესებელი პირობები. რუსეთში, მაგალითად, საუკეთესო მწერალთა და მსახიობთა შორის ყოველთვის მეგობრული, შინაურული დამოკიდებულება არსებობს ხოლმე. მწერალი ცდილობს დაუსლოვდეს მსახიობს, რომელმაც მის ნაწარმოებს ხორცი უნდა შეასხას, მსახიობს კი ჰსურს დაუმეგობრდეს მწერალს, რომლის შემოქმედების მიზანიერდაც თვითონ უნდა გახდეს. ამისთანა მისწრაფება მსახიობთა და მწერალთა შორის ყოველთვის არის ხოლმე. ჩვენში კი ასე არ არის. თეატრის მუშაკთ რაღაც გაუვალი ზღუდეები აღუმართავთ თავიანთ გარშემო. ჩვენ დიდი ხანია თვალ-ყურს ვადევნებთ მათ ცხოვრებას და ნათლად ვხედავთ, რომ ისინი როგორღაც მოწყვეტილნი არიან საზოგადოებას, რაღაც თავის საკუთარი, დამოუკიდებელი ცხოვრება შეუქმნიათ და სიხარულს, თუ მწუხარებას მარტო ერთმანეთში იზიარებენ, ეს კი ასე არ უნდა იყოს. ქართველმა მსახიობებმა უნდა დაარღვიონ ეს ზღუდეები. ქართველი მწერლებიც უნდა ეცადნენ—დაუახლოვდნენ მსახიობებს, რომელნიც მეტად მძიმე და საპატიო შრომას ეწევიან.

ᲝᲠᲘᲝᲠᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

გუშინდელს ჩინებულს წვრილს, ლ. გ. ბოცვაძისას, მწადიან დავუმატო ჩემის მხრივ ორად-ორი სიტყვა. ფრებელმა საბავშვო ბაღის მოგონებით და დაარსებით შეჰქმნა ახალი ხანა ნორჩ ახალ-თაობის განვითარებაში. ბავშვები, რომელთაც ბედი არგუნებდა ესარგებლათ მის მიერ დაწესებულ საბავშო ბაღებით, ოთხიხუთის წლის განმავლობაში, ბევრით აღემატებოდნენ სხვა ბავშვებს: გონების სიფხიზლით, განვითარებით, ზრდილობითა და, ასე გაშინჯეთ, ნიჭიერებითაც, დიახ, ნიჭიერებითაც. ნიჭიერება მარტო მემკვიდრეობაზე არ არის დამყარებული; იგი დამოკიდებულია იმ გარემოებაზედაც, რომელშიაც იზრდება ბავშვი. ორი ძმა, ერთნაირის ნიჭის პატრონი. ერთი ჩაყენეთ შეუსაბამო პირობებში, რომელნიც ხელს უშლიან ბავშვის განვითარებას, და მეორე მოაქციეთ იმისთანა მდგომარეობაში, რომელიც ყოველის მხრივ ეხმარება ბავშვის სიცოცხლის ვარჯიშობას, გონების გახსნას, განვითარებას, და თქვენ დაინახავთ და დარწმუნდებით, რომ მეორე ძმა ბევრით ემჯობინება პირველს ნიჭითაც. აძლევთ კუჭს ძნელად მოსანელებელი საჭმელი და იგი სუსტი შეიქმნება ასაზრდოვეთ იმისთანავე კუჭი ადვილად შესათვისებელის საჭმელით, და იგი ბევრად ღონიერი და ძლიერი გახდება პირველზე. ესეთივე გავლენა აქვს ბავშვის გონებაზე იმას, რით ასაზრდოებთ მის გონებასა, რა წესითა და რიგით აწვდით მას სულიერს საზრდოსა.

ფრებელმა არა მარტო გონების გახსნა დაუყენა ბავშვებს სწორე, ნორმალურს ჯაზაზე, არამედ მათი ფიზიკური განვითარებაც გვერდით ამოუყენა და დაამყარა სრული ჰარმონია სულისა და სხეულის ზრდაში.

რაღა საკვირველია, თუ ფრებელის ყოფილი მოწაფენი სხვებზე უკეთესად იჭერდნენ სასწავლებლებში ეგზამენებს, სხვებზე უკეთესად სწავლობდნენ და სხვებზე მეტს რიგიანობასა და ზრდილობას იჩენდნენ, ერთის სიტყვით შეადგენდნენ საუკეთესო ნაწილს მოწაფეებისას. ამისთანავე სანატრელს შედეგს უნდა მოველოდეთ იმ ქართულ საბავშვო ბაღიდან, რომელსაც აარსებს ამ დღეებში გუნდი ქართველთა დედებისა. უნდა მოველოდეთ იმის გამო, რომ დამაარსებელნი ეკუთვნიან საუკეთესო ქართველს დედებს, და სრული იმედია, რომ სამაგალითოდ დააყენებენ საქმეს და გამოიწვევენ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც ამისთანავე სანატრელს დაწესებულების დაარსებასა.

იაკობ გოგებაშვილი.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲑᲘ

ᲰᲐᲢᲛᲠᲗ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘᲗ
27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲘᲡ.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲓ

პარიზი. მინისტრთა საბჭომ მთავრობის დეკლარაცია ერთხმად მოიწონა; იგი პალატაში 26 ოქტომბერს წაიკითხება. დეკლარაციის უმთავრესი ადგილი რკინის გზის გაფიცულთ ეხება. ისეთ საზოგადოებრივ წარმოებაში, რომელიც ხალხის

როს ჩაუარო სამშობლოს,
დაჰხედო მისსა არესა;
გვერდით შეეხო ვარსკვლავებს,
ხივ-მოკაშკაშე მთვარესა,—
ჩასძახე ჩემსა მეგობრებს,
რომ აქ ვიტანჯვი ეული;
თავს დამხარხარებს სატანა,
სისხლში მოთხვრილი, წყეული.
რომ დავნატრიულდი მათს ქომაგს,
მეგობრულს დახმარებასა,
არავინა მყავს უცხოეთს,
ვინ მომანიჭებს შვებასა?
მერცხალო! კუდ-მაკრატელავ,
ნიავო! მიუდგომელო,
ღრუბელო! მსრბოლო მსუბუქად,
ფოთოლო! დაუჭკნობელო,
ვინძლო არ მითხრათ უარი,
არ იქმნეთ ახირებული,—
ყველას გადასცეთ, უამბოთ,
ტანჯულის დაბარებული!..

დ. ელიოზიშვილი.

ᲛᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲜ

ᲡᲐᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ.

I

რა ძნელია მარტოობა!..
— „მერე, ვინ არის დამნაშავე?“.
„დამხაშავე?!“... არ ვიცი, ხოლო მე-კი **ვგრძნობ** მარტოობას...
აი, ამ კედლებ შუა, ჩემს სამყოფში, რომლის კარები თავისუფლად იღება, საიდანაც შემიძლიან ჩემის სურვილისამებრ გავიდე კარედ... ვარ აქ მარტო და მხოლოდ შენა გხედავ...
გარს ყოველის მხრივა გგრძნობ, ვით შემოქმედ ძალასა; ყოველთვის წინ მიდგეხარ, ვით აჩრდილი სატრფოსი. აი, ასე მგონია; მგონია-კი არა, ვგრძნობ, რომ შენ ყოველის შენის არსებით აქ იმყოფები...
რასაც შენ უყურებ, იმასვე ვხედავ.
რაც შენი ამონასუნთქია, იგივე ჩემი სასიამოვნო საზრდო-სასუნთქავია.
შენი აზრი, იგივე ჩემია.
შენი გრძნობა...
მაგრამ, აი!.. ეგ „გრძნობა“-კი ვერ ვგემე... გრძნობაში ვიყრეობით...
იგი არ ეკარება ამ გულს.
ეს **გული** იდაგება გაჩენილ ალისაგან; ივსება იმდღერება ცხელ-მდინარეთაგან...
იმიტომ, რომ ჩვენი გრძნობა: არ ერთიანდება, არ კავშირდება...
გრძნობა, გრძნობა გამირბის და ვრჩები მარტო, ობლად...
მერე რა ძნელია უშენობა,.. უშენოდ მძოვრი ვარ...
— „გარედ!“...
„გარედ?!“... მე მოგდევ...

II

მე გამოვარდა. გაჰყვა გრძნობასა...
იგი მიურბის, **მეც** მას მისდევს ოავის არსებითა.
— „უშენობა მე არ ძალმიძს...— ამ სიტყვების დუდუნით მისდევს. მისდევს, ხოლო **მემ**-კი არ იცის: სად და **რ**ისთვის.
მიდის, მისდევს. მირბის **მეც** წინ დაუხედავად, მირბის...
— ხორციელო! რაზედ მიდგამ მაგ ფეხებს, ნუთუ ვერა მხედავ?..
უსაყვედურა **მეს** მიწის სურნელოვანმა მცენარემ, რომელიც გვერდ გასრესილი კვნესით გაერთხო თავის დედა-მიწასა.
მაგრამ **მე** სრულიად არას ამჩნევდა, ან და მცენარის კვნესა სადღა მოესმოდა, როდესაც იგი, გატაცებული გრძნობას მისდევდა...
— ადამიანო! რა მიგარბენინებს, —გაეხმაურა ბუნება **მესა**,—ნუთუ, ვერ ხედავ სამოთხეს? აქ არის ყოველივე... მაშ სადღა მირბიხარ?..
მაგრამ **მეს** არც ბუნების გახმაურება, არც სამოთხის გულუხვობა და არც ბუნების მიერ ადამიანად წოდება ხიბლავდა. ან და ეს ყოველი მას როგორ ეხილა, როდესაც გრძნობა გაურბოდა?..
მე მისდევდა გრძნობას, რომ ეხილა.
— დავიქანცე!..
მემ წამოიძახა მოღლილობით და ბუჩქებთან დაეცა, ვით მძოვრი.
— დაისვენე... ჰა, ჰა, ჰა!..
ურჩია გრძნობამ და, რა გადიხარხარა, დაეშო ვარდის ბუჩქზედ.
გრძნობამ შეამჩნია ბუჩქზედ კოკორა ვარდი. იგი იყო უხილავი. უხილავი იმიტომ, რომ ჯერ დღეც არ მიჰკარებია მის გარდაუშლელს გულსა.
გრძნობამ ვარდის დანახვაზედ რთოლვა დაიწყო, ვით მიამიტი თვალი, როდესაც სხივი შეეხება, შეირხა და ნაზად მიუახლოვდა.
ვარდი გაინაზა, კეკლუცად გადაიხარა, თითქოს მოერიდაო. გრძნობა-კი მიუახლოვდა კოკორა ვარდსა, მიუალერსა ჯერაც უხილავსა თვით ნაზ პეპელისგანაც; ვარდი აილეწა, ვით მზის ნაზ სხივისაგან; იგი ათრთოლდა, ვით შეხურებული, სიცხით სადამოს ნიავის ქროლვითა. ვარდი შეაჟრჟოლა, აკანკალდა, ვით გახურებული ნამის პკურებითა. ვარდ-კოკორა შეირხა, ფოთლები გაშალა და გული გადაიღეღა...
გრძნობა ჩაეკონა ვარდის გულსა...
ვარდის გული შეტოკდა; შემდეგ გაყუჩდა და სიამოვნებით ამოისუნთქა...
ვარდი გაფურჩქვნილი ირხეოდა. მის საამო სუნთქვას ნიავი იტაცებდა; იქაურობას აამებდა.

მემ იყნოსა ჰაერით მიწოდებული ამონასუნთქი ვარდისა, გრძნობამ მიიზიდა იგი.
მე წამოიწია, წაეპოტინა მომხიბლავ ვარდსა, მაგრამ ეკალი ეჩხვლიტა...
— უხილავია... — გამოეხმაურა ბუნება.
— ჰა, ჰა, ჰა!.. უხილავია, ეკლიანია, ადამიანო!..
გადიხარხარა გრძნობამ მიმზიდველობით და ჩაეხვია ვარდის ფოთლებსა.
მე ყნოსვამ გააღიზიანა, გრძნობის ჩემობამ აღუძრა მეობა, ადამიანობა...
— მსურს ვიხილო!...
წამოიძახა **მემ** და მისწვდა ვარდის ღეროსა.
— უხილავია...— გაფრთხილებით განუმეორა ბუნებამ.
— მით უფრო სასურველია... ამით მოიზიდა ვარდი.
— ეკლიანია... — უკანასკნელად მოაგონა ბუნებამ.
— მე ვარ ადამიანი...
მემ სთქვა მედიდურად და მოსწყვიტა ვარდი...
— ადამიანი...—წაიდუდუნა დედამიწამ სასმენად თავის შობილთა.
— „ადამიანი“... — მიმოჰფანტა რთოლვით ნიავმა.
— „ადამიანი“...—განიმეორა ჩურჩულით ყოველ მიწის შვილმა...
დადუმდა ბუნება.
ადამიანმა იხილა უხილავი. ვარდის დაყნოსვით დაითრო და იქავ მის ბუჩქთან მიიძინა...

III.

ბუნება სდუმდა...
ხოლო **მე**—ადამიანი—ძილშიაც არ ისვენებდა. გრძნობა ვარდზედ ესიზმრებოდა...
მაგრამ მის მიერ მოწყვეტილი ვარდი თავის მსგავს სულიერ არსებად ეელინებოდა.
კარგად დააკვირდა, წამოიწია და იგივე ვარდი ასე გულზედ შეამჩნია, წამოდგა, მიიხედ-მოიხედა, თვალები მოიფშვნიტა, ვით ნამძინარევმა, და დაინახა თავის მსგავსი არსება; ხოლო მშვენება, რამაც მიიზიდა...
— აი, ადამიანო, ვისაც ეძებდი...
უთხრა გრძნობამ, რომელიც ვარდის ფურცლებს მშვენების გულზედ ანავარდებდა და მის ბროლის გულ-კერდზედ ჰფენდა.
— ადამიანო!...
დასჭიკჭიკებდნენ ცქრიალა ფრინველები და თავისუფლად გარს დაჰფრენდნენ მშვენებით გატაცებულ ადამიანსა.
— ადამიანო!...
უწოდებდნენ მორჩილებით ნადირ-ცხოველნი.
— ადამიანო!...
გაისმოდა ნიავის საშუალებით ნაზი ხმაურობა ხეებისა და **მოწიწებ**ით ადამიანს თავს უხრიდნენ.
— ადამიანო!...
ჩახმაურობდა ადამიანის გვერდით ლაღი მდინარე.
— ადამიანო, ადამიანი...
ეჩურჩულებოდა თვით დედა-მიწა მოკრძალებით ყოველ თავის ნაყოფს...
ეს ყოველივე ადამიანს ესმოდა, და ყოველივე ეს ამედიდურებდა...
ხოლო **მე**—ადამიანი—ამას არად აგდებდა, რადგან მშვენი—არსება თავისი გრძნობით მას იტაცებდა...
— შენ, რა ხარ?..—ბუტბუტებდა ადამიანი.—რა სულიერი ხარ, რომ ყოველივე, ხომ ხედავ, მაღმერთებს; სულიერი თუ უსულო ჩემს

თეირანი. ზილლი-სულტანის გუბერნატორად დანიშვნამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, განსაკუთრებით ბახტიართა წრეში. კაბინეტის მდგომარეობა შეირყა. გარეშე საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებმა განაცხადეს, რომ განზრახულ სესხს შაჰინ-შაჰის ბანკი და ინგლისის სინდიკატი გვპირდება 42 წლის ვადითაო.

პარიზი. დეპუტატთა პალატაში წაკითხულ დეკლარაციით მთავრობა აცხადებს: მთავრობა ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებას ემხრობა, კანონიერებასა და თავისუფლებას ესარჩლება და ყოველ საქმეში მხოლოდ რესპუბლიკელთა უმრავლესობაზე ემყარება. საერო სკოლის მფარველობისათვის, მთავრობას განზრახვა აქვს განსაკუთრებული კანონი შემოიღოს. კანონიერის გზით განახორციელებს რეფორმას მართვა-გამგეობის საარჩევნო სისტემისას, სასამართლოსას, მოხელეთა სამსახურის დებულებისას და შემოსავალისა დაგვარად გარდასახადის გაწერისას. დეკლარაცია მოაგონებს მუშებს, რომ ეკონომიურს ემანციპაციას ძალმომრეობით კი არა, მხოლოდ კანონიერის გზით უნდა მოელოდეთო. მთავრობას სასურველად მიაჩნია „სამოტაჟისა“ და ანარქიის მოქადაგეთა და წამქეზებელთა წინააღმდეგ კანონიერი ზომები გაძლიეროს.

ლივერპული. მეეტლეთა გაფიცვისა გამო, ნავთ-სადგურსა, გემთა საამშენებლო სადგურსა და ქალაქს შორის მიმოსვლა შესწყდა. გაფიცულია 4000 მეეტლე, რომელნიც სამუშაო დღის შემცირებას მოითხოვენ. გაფიცვისა გამო 5000 ცხენიც ისვენებს.

ვენა. ძველმა შაჰმა „ნეიე-ფრაიე-პრესის“ თანამშრომელს განუცხადა, რომ იგი მხოლოდ გასართობად მოგზაურობს. იგი სპარსეთის არც ერთს ცნობილ ემიგრანტს არ ინახულებს. შაჰის ცოლი მექას გაემგზავრება. შაჰი კი, ევროპაში ხანგრძლივის მოგზაურობის შემდეგ, ისევ რუსეთში დაბრუნდა.

პარიზი მთავრობის დეკლარაცია პროფესიულ სინდიკატების სასარგებლო მხარეებს აღნიშნავს, მათი გავრცელება საჭიროდ მიაჩნია და სასურველად სცნობს, რომ მუშებს მოგებაში წილი ედოთ. მთავრობა ვერ შეიწყნარებს პოლიტიკურის აზრით არსებულ სინდიკატებს, რომელთა მიზანი საზოგადოებრივ ცხოვრების მავნებელია, რის გამოც იგი მოითხოვს, რომ პალატამ უზრუნველჰყოს საზოგადო წარმოებაში გაფიცვის დროს მომუშავეთა ბედი. კავშირებითა და მეგობრულის განწყობილებით გაძლიერებული რესპუბლიკა, ამ ზომებით, ჯეროვანს ადგილს შეირჩენს სხვა სახელმწიფოთა შორის. ტრადიციულ პოლიტიკის განგრძობით, რომლის წყალობითაც საფრანგეთი გაძლიერდა, მშვიდობიანობისა და ეროვნულ ღირსების დასაცველად, მთავრობა სამხედრო ძალას გააძლიერებს და იმედი აქვს, რომ პალატა მთავრობის მიერ წარდგენილ საზღვაო პროგრამასაც მიიღებს,

დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ, პალატამ დაადგინა, დაუყოვნებლივ განიხილოს შეკითხვა მთავრობის პოლიტიკაზე. დამოუკიდებელი სოციალისტი პენლევე ბრიანსა ჰკიცხავს, რომ მან არა—არსებულ კაბინეტის მიმართ ნდობის გამოაცხადება მოითხოვა. პენლევე ამტკიცებს, რომ, სანამ ბრიანი კაბინეტის მეთაურად არის, პარლამენტში მშვიდობიანობა არ დამყარდება, რის გამოც სასტიკად ჰკიცხავს ბრიანს. ბრისონი ორატორს აჩერებს. (დიდი ხმაურობა და პროტესტი).

გაერთიანებული სოციალისტთა თავმჯდომარე -ობრიობრიანს ბრალსა სდებს, რომ პალატის ნდობას ბოროტად ხმარობო. ეორესი დეკლარაციის წინააღმდეგ ილაშქრებს და ამტკიცებს, რომ ეს ძალმომრეობითი აქტია, რომელიც ნახევარმილიონ მუშა ხალხს გაფიცვის უფლებას ართმევს. ეორესი ცხარედ ჰკიცხავს ბასიანს, რომელმაც საფრანგეთი რეაქციის ბუდედ გადაქციაო.

კრება დახურა. შემდეგი კრება ხვალისათვისაა დანიშნული.

პარიზი. მინისტრთა საბჭომ ენის დეპარტამენტის პრეფექტი სამსახურიდან გადაიყენა, რადგანაც მას, რკინის გზის გაფიცვის დაწყებისას, მთავრობის მიერ მიცემული განკარგულება არ შეასრულა.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

შორს გარდმოხვეწილს, ეულსა,
თვალთაგან ცრემლი ჩამომდის,—
უცხოეთს, უცხოთა შორის,
ჩემთვის მზე აღარ ამოდის!..
ნიავო მიუდგომელო,
მქროლავო მთა და ბარადა,
გვერდს ჩაუარე სამშობლოს,
ჩემ გულის გასახარადა.
უთხარი: შენი ერთგული,
ლონდება უშენობითა,—
მეგობარს ვერსად ჰპოულობს,
გარდაეკონოს გრძნობითა!..
ფოთოლო! ხით მოწყვეტილო,
შენც გეყვედრები ამასა:
ჩემს ქვეყანაში თუ მოხვდე,
ასე უამბე მამასა:
შენი ძე, მარად ერთგული,
ვერ შეგელია—მშობელსა,—
უცხოთა შორის ვერ ჰპოვებს
შენსავით თანამგრძნობელსა!..
მერცხალო! კუდ-მაკრატელავ,
ლაღად მცურავო ცაზედა,
გასწი, გენაცვა, იარე,
ყველგან მთასა და ბარზედა.
მონახე ჩემი ღვთაება,
სატრფო სულის და გულისა,
უმღერე, გააგებინე,
ამბავი ჩემის წყლულისა.
უამბე: უშენობითა,
თვალთაგან ცრემლი ჩამოსდის;
სად ულამდება, იქავე
დილის ცისკარი ამოსდის!
ძილში, თუ ცხადად, ყოველგან
შენ ელანდები მარადის;
ჰსურს შენთან ყოფნა, ტრფიალი
შავ-ბნელის კუბოს კარამდის!..
ღრუბელო! მსრბოლო მსუბუქად,
შეჩერდი ცოტა ხნობითა,—
ორიოდ სიტყვას გაბარებ,
კი არ მომმართო გმობითა!
როს ჩაუარო სამშობლოს,
დაჰხედო მისსა არესა;
გვერდით შეეხო ვარსკვლავებს,
ხივ-მოკაშკაშე მთვარესა,—
ჩასძახე ჩემსა მეგობრებს,
რომ აქ ვიტანჯვი ეული;
თავს დამხარხარებს სატანა,
სისხლში მოთხვრილი, წყეული.
რომ დავნატრიულდი მათს ქომაგს,
მეგობრულს დახმარებასა,
არავინა მყავს უცხოეთს,
ვინ მომანიჭებს შვებასა?
მერცხალო! კუდ-მაკრატელავ,
ნიავო! მიუდგომელო,
ღრუბელო! მსრბოლო მსუბუქად,
ფოთოლო! დაუჭკნობელო,
ვინძლო არ მითხრათ უარი,
არ იქმნეთ ახირებული,—
ყველას გადასცეთ, უამბოთ,
ტანჯულის დაბარებული!..

დ. ელიოზიშვილი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

რუსეთი

პეტერბურგი. საზონოვი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა.

ვოლოგდა 25 ოქტომბერს, ერთსა და იმავე დროს, სამგან გაჩნდ ცეცხლი. სამი სახლი და 4 თავლა დაიწვა.

ტომსკი. ქალთა უმაღლესი კურსები გაიხსნა.

ნოვოჩერკასკი. მანკოვო შერეზოვში, ბაზრობის დროს, ორს ოფიცერს კონკოვებს ვაჭრებთან ჩხუბში მოუვიდათ. სროლის დროს ოფიცრებმა ერთი გლეხი მოჰკლეს, ხუთი დასჭრეს. ხალხის ბრბომ ერთი ოფიცერი მოჰკლა, მეორე მძიმედ დასჭრა.

პეტერბურგი ვაჭრობის სამინისტროსთან არსებულმა საგანგებო საბჭომ დაადგინა, რომ ტურინის გამოფენაზე შემდეგი განყოფილებანი მოაწყოს: ხორბლეულისა, სამთამადნო, ნავთისა, ლითონისა, თევზეულისა, ფართლეულისა, რეზინისა, სახაზინო მეთევ წყლებისა, მხატვრობისა, მრეწველობისა, შინამრეწველობისა და არყის მონოპოლიასა.

კიევი. 13 ნოემბერს, უნივერსიტეტი პიროგოვის დაბადების ასის წლის თავს დღესასწაულობს. უნივერსიტეტი თავის ხარჯით შესაფერ კრებულს გამოსცემს.

პეტერბურგი. ახალ გზათა კომისიამ ინჟენერ გეფდინგისა და ნორმეს პროექტი ელექტრონის გზის გაყვანისა მოიწონა. ეს გზა პეტერბურგიდან ანდრეამდე (ფინლანდია) მივა.

პეტერბურგი. თხოვნის თანახმად, იმპერატორმა მაკარიის ეპისკოპოსი გური თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ხოლერა.

ბაქო. ერთი კვირის განმავლობაში მთელს გუბერნიაში ხოლერით ავად გახდა 12, გარდაცვლილა 7.

ნოვოჩერკასკი. ხოლერით ავად გახდა 3, გარდაცვლილა 2.

პეტერბურგი. ხოლერით ავად აღარავინ გამხდარა. გარდაცვალა 1. ავად არის 86.

შავი ჭირი

ხარბინი. 25 ოქტომბერს მანჯურიის სადგურზე შავი ჭირით 16 გახდა ავად, მათ შორის რუსის ფერ-შალი და სანიტარი; 6 ჩინელი გარდაიცვალა.

24 ოქტომბერს 9 ჩინელი გახდა ავად. ამ ადგილს ჯარი შემოარტყეს. მთელს ხარბინ-მანჯურიის ლიანდაგზე სანიტარული კომისიები მოაწყეს.

ახალი ამბები

ტფილისი

✦ **ქართული წარმოდგენა ნინო ჩხეიძის მონაწილეობით.** როგორც ეტყობა, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა შრომასა და ენერგიას არ ჰზოგავს, რომ წარმოდგენების გამართვის საქმე რიგიანად დააყენოს. დღევანდელ წარმოდგენისათვის გამგეობამ ქუთაისიდან მოიწვია ნიჭიერი მსახიობი ნინო ჩხეიძის ასული, რომელიც ზუდერმანის ცნობილს პიესა „სამშობლოს ჭერ ქვეშ“ სში მაგდას როლს შეასრულებს. მაგდას როლი ნინო ჩხეიძის რეპერტუარში ერთი საუკეთესო როლთაგანია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება უყურადღებოდ არ დატოვებს ამ საინტერესო წარმოდგენას.

✦ **თათბირი კავკასიის შავიზღვის წარმოების შესახებ.** 25 ოქტომბერს პეტერბურგში ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის თავმჯდომარეობით დაიწყო თათბირი იმ ზომების შესამუშავებლად, რომელიც ხელს შეუწყობს კავკასიაში შავიზღვის მრეწველობის განვითარებას. თათბირში მონაწილეობას იღებენ: წარმომადგენელნი ფინანსთა, შინაგან საქმეთა, საგზაო და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროებისა, სახელმწიფო კონტროლისა, კავკასიის ნამესტნიკისა, აგრეთვე ჭიათურის შავიზღვის მრეწველთა საბჭოსი, ფოთის საბირჟო კომიტეტისა, ექსპორტების რწმუნებული და ფოთის ქალაქის მოურავი.

✦ **ტფ. ტრამვაის საზოგადოების შუამდგომლობა.** ტფილისში ჩამოვიდა ბელგიის უსახელო საზოგადოების რწმუნებული ინჟენერი ფაინი, რომელიც ქალაქის თვითმმართველობის წინაშე შუამდგომლობს, რომ ქალაქმა ჯერ არ გამოისყიდოს ტრამვაი და უსახელო საზოგადოებას კონკესიის ვადა რამდენიმე წლით განუგრძელოს. ამ საგანის გადასაწყვეტად 29 ოქტომბერს შეერთებული კრება ექმნებათ ქალაქის გამგეობისა, საფინანსო, იურიდიულ, ტეხნიკურ და ტრამვაის გამგე კომისიების წევრებს.

✦ **ფილოქსერა კახეთში.** უკვე თავდება საფილოქსერო ჯგუფის მუშაობა სიღნაღის მაზრის სოფლებს ლელიანსა, ბაისუბანსა, და პატარა გორაში, სადაც ვაზებს ფილოქსერა გაუჩნდათ. ავადმყოფი ვაზები უკვე მოუსპიათ და აგრედვე მიუღიათ ზომები სხვა ვაზების დაავადმყოფების წინააღმდეგ.

✦ **სინოდის ბრძანება.** საქართველოს სასინოდო კანტორამ ეწ. სინოდისაგან მიიღო ბრძანება, რომ ეროვნებისა, ვინც მღვდლობასა, მთავარ-დიაკვნობასა და ან მედავითნობაზე ეგზამენს დაიჭერს, იმათ სოფლის მასწავლებლობის ეგზამენიც უნდა დაიჭიროონ.

✦ **გადასახადების პატივება.** ტფ. ქალაქის გამგეობამ, საქალაქო დებულების 35 წლის არსებობის აღსანიშნავად, 12.000 მან. სხვა და სხვა გადასახადი აპატია ქალაქის 250 ღარიბს მცხოვრებს.

✦ **ტფ. სასულიერო სემინარიაში.** სასულიერო სემინარიის ქართულ საეკლესიო გალობის მასწავლებლად დანიშნულ იქმნა მღვდელი ფილიმონ კარბელაშვილი,

✦ **ნორმალური დასვენება.** დღეს, 28 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის სადგომში მესამე კრება ექმნება ქალაქის საგანგებო კომისიას, რომელმაც უნდა დაასრულოს ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების ნორმალურ დასვენების საკითხის წესებულ ... პროექტის განხილვა.

✦ **ჟურნალისტთა საზოგადოებაში.** ამ დღეებში მოწვეულ იქმნება ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების წევრთა საერთო კრება საზოგადოების წარსულ მოღვაწეობის ანგარიშის განსახილველად.

✦ **„ტფ. ქალაქის საბჭოს მოამბე“.** რედაქციამ მიიღო „ტფ. ქალაქის საბჭოს მოამბე“-ს მორიგი (7 და 8) ნომერი. ჩვეულებრივ განყოფილებათა გარდა „მოამბეში“ მოთავსებულია: 1) „ცნობები იმის შესახებ, თუ რა ხარჯი აქვს ქალაქს სახალხო განათლებაზე, 2) წერილი მ. ათაბეგოვისა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა, საბჭოს ხმოსანს ფასიანი ადგილი ეჭიროს ქალაქის თვითმმართველობაში; 3) ქალაქის მოურავის, განსვენებულ ვ. ნ. ჩერქეზიშვილის ხსოვნა.

✦ **ქალაქის უძრავ ქონებათა შეფასება.** ტფ. ქალაქის დამფასებლებმა უკვე დაასრულეს მუშაობა ქალაქის მეცხრე უბანში და, ეს ორი დღეა, მერვე უბანში შეუდგნენ უძრავ ქონებათა შეფასებას.

✦ **ექსკურსია.** გუშინ, მასწავლებლების ხელმძღვანელობით, ტფ. ლევანდოვსკის სასწავლებლის მოსწავლეებმა დათვალიერეს ქართველ გამომცემელთა ამხანაგობის სტამბა და აგრედვე ჩვენი რედაქცია.

✦ **ფრენა.** როგორც გავიგეთ, კავკასიის მფრინავთა ჯგუფს განუზრახავს მფრინავთა განყოფილება გახსნას ბათომში.

✦ **ქართულის მასწავლებელი სასულიერო სემინარიაში.** საქართველოს ექსარხოსმა უწმ. სინოდს დასამტკიცებლად წარუდგინა ტფ. სასულიერო სემინარიის გამგეობის დადგენილება, რომლითაც სემინარიაში ქართულის მასწავლებლად ვ. ბარნოვი იქმნა დანიშნული.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 26 ოქტომბერს ანტონოვის ქუჩაზე მცხოვრებმა ნიკოლოზ ტიმოთეს ძე გარსიაშვილმა თავის მოკვლის განზრახვით საწამლავი დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

✦ **უპასპორტონი.** 26 ოქტომბერს პოლიციამ შეიპყრო 101 უპასპორტო.

✦ **ახალი კოოპერატიული ამხანაგობა.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ტფილისის საქონლის სადგურის მუშათა ერთმა ჯგუფმა მიიღო გუბერნატორისაგან დამტკიცებული წესდება კოოპერატიულ ამხანაგობის „მომავალისა“. ამ წესდების ძალით შეიძლება მთელს ტფილისის გუბერნიაში მოქმედება. საესურველია, რომ ამ ამხანაგობაში ჩაეწეროს მრავალი წევრი და საქმე რიგიანს საფუძველზედ დააყენონ. ამ მოკლე ხანში მოხდება დამფუძნებელი კრება.

✦ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას** შემოსწირეს თ. ოთარ თენგიზის ძემ დადგშქელიანმა ბრინჯაოს ცული (კობანის ჯურისა) და „ყამის წირვა“ გრაგნილად (ხუცური ხელნაწერი ეტრადზე), კნ. ელისაბედ გიორგის ასულმა წერეთლისამ— ვახტანგ მე-VI-ს „სამართალი“, მხედრული ხელნაწერი; ბ. ნმა ცომაკურიძემ— ნაწყვეტები ქართლის აღწერისა.

მოწერილი ამბები

სოფ. მეჯვრის ხევი (გორის მაზრა). წელს სასაფხულოდ სოფ. მეჯვრისხევს მოაწყდა დიდ ძალი მოაკარაკე. მშვენიერმა მეჯვრისხევის მთის ჭალერმა, თუ სხვა რამემ, მიიზიდა ამოდენა მოაკარაკენი,—არ ვიცი. ეს კი ცხადია, რომ ბევრი უბინადრობისა გამო იძულებულნი გახდნენ, ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ. არ გასულა ბევრი ხანი, რომ აქ დარჩენილ მოაკარაკეთაც მწუხარების ნიშანი დეტეოთ, ხოდერისა გამო, რომელიც აქ მძვინვარებდა. ამ სენმა ამბრგა მეჯვრისხევის მოაკარაკეები, რომელთაც ორ-სამ დღეში დაჭსცადეს მეჯვრისხევი. ხოდერამ მუსრი გასვლა ხადხს. ორი კვირის განმავლობაში ამ სენმა იმსხვერპლა 150 კაცი, თითქმის სულ კდეხობა. უფრო მეტი მსხვერპლი იქნებოდა, რომ ადგილობრივ კომისიას, რომელიც იყო შემდგარი ადგილობრივ ინტელიგენტებისგან ბოდკოვნიკ კატიდოვიჩის თავმჯდომარეობით, ენერგია და მუყაითობა არ გამოეჩინათ ამ სენის მოსასპობლად.

ნუ თუ ადგილობრივ კდეხებს ან თვით კეთილ-შობილ თავად აზნაურებს არ შეუძლიანთ საკარაკო სახლების კეკეთება? ვინ არ იცის რა სასარგებლოა მოაკარაკეთა ეოფნა სოფლად მკვიდრთა მცხოვრებლებისათვის? მაგრამ შეუგნებლობას და დაუდევრობას რა უყოთ.

ადგილობრივ ინტელიგენციის თანასწორობით და არტისტ ზ. მაჩაბლის თანადასმარებით აქ გამართულ იყო წარმოდგენა ადგილობრივ სცენის სასარგებლოდ. წარმოადგინეს „ციმბირელი“ ა. ცაკარდისა. წარმოდგენა საერთოდ ადგილობრივ სცენის მოყვარეებმა მშვენივრად ჩასტარეს. ხალხიც ბლომად დესწრო. კარგი იყო მ. დადებულიძე შეტუას როლში და მ. იდურიძისა მაბოლოდნენ ცხოველნი და გაურბოდნენ მორიდებით.

—„...გაუტანელია“...

დააქროლებდა ნიავიც ამა ხმასა არე მარეში.

ადამიანი კი ამას არას იმჩნევს, ან რად ჩაგდებს, როდესაც მისი გრძნობა შეუპყრია მოპირდაპირე ქალსა, და მიდის, მიუძღვება გვერდით მიმავალსა.

VI

—„მოდის ადამიანი... მოდიან“..

მიწამ ამოსძახა საიდუმლოდ მთაბარსა,

—„მოდიან“...

გაიხმაურა არე-მარემა.

—„მოდიან“...

მოისმის ტყე და ველისაგანა.

—„მოდიან“...

იგივე ისმოდა იდუმალის ხმით ყოველ ბუნების ცხოველისაგან და შეშინებულ სხეულს აცახცახებდა. მათი ცახცახი ჰაერს ამოძრავებდა, ერთმანეთს ხვდებოდა და საერთო ძალ-ღონით, ღრიანცელის ხმაურობით ჰქროდა წინააღმდეგ ადამიანისა.

მაგრამ ადამიანი თავისის გვერდიმიმავალით შეუპოვრად წინ მიდიოდა.

— მე, ადამიანს, ქარი ვერ შემაჩერებს.—გაიძახის კაცი ადამიანი — მე წინ, შენ კი მომყევი...

—მეც გვერდში მოგდევ.—მიუგო ქალმა.

— ოღონდ, შენ, შენა მყვანდე... მე რას დამაკლებს ქარიშხალი...

— ვერც მე...

მიუგო ქალმა. ხოლო, რა შენიშნა ჯერედ გაუვალი მდინარე, შესდგა და წამოიძახა:

— მდინარე... საშინელია...

— აღელვებულია... — შენიშნა კაც—ადამიანმა და წყლის შესდგა.

მდინარე, მართლადაც, დავიწყებამდე იყო გადარეული. აზვირთებული ღრიალით მოექანება, მოაქვს ყოველი, რაც კი შეჭფეთებია; ერთ წამს თუ მოიკრიფება, ვით შევიწროვებული, მეორე წამს ძალა-მოკრებილი გამოექანება ტალღებით ნაპირებისაკენ, რომ გადაეფინოს მთელ მიწას წასალამად; ხოლო როს კალაპოტი დედამიწისა მას ნებას არ აძლევს, ისევე ბრუნდება და უმადურის ხმაურობით ბუტბუტებს:

— „ადამიანს?!.. დავახრჩობ“...

— მე ხიდს გავსდებ...

წამოიძახა ამ დროს ადამიანმა, რა მოისაზრა. წამოაქცია ხე, გასდო მდინარეზე, მისთვის დამუქრებული აზვირთებულს მომავალზედ ხიდად და ზედ გავიდა „მე“ „შენი“ თურთ.

გავიდა ადამიანი ხიდზედ...

მაგრამ ქარი მაინც ჰქროდა: მდინარეც ადამიანის საწინააღმდეგოდ ღელავდა; ხოლო ადამიანი—„მედა“ „შენ“—ხიდზედ განვლილი, წინ მიილტვოდ...

ბუნებაც თავისებურ იდუმალობით ადამიანის მოწინააღმდეგეთ უპასუხებდა:

— „ადამინი?!... მიწიერი ღმერთია, ღმერთი“!...

VII

მოდის ადამიანი შეუპოვრად...

მაკრამ იგრძნო დაღლილობა, ვით ღმერმა მეშვიდე დღესა და შეისვენა...

— ყოველის შემძლებელო...

ეფუჩუნება ქალი.

— შენ ჩემო...

ხოლო მის წინ მუხლ-მოდრეკილი კაცი-ადამიანი ალარ აცლის, ვით მორჩილი, უპასუხებს:

— მე შენით, ჩემო ღვთაებავ!...

— შენით, შენით, ჩემო...

ადიდებას ჰლაღადებს, თაყვანსა მცემს, თავს მიხრის... ხოლო შენ...

— ეს არის შენი გვერდი...

გააწყვეტინა გრძნობამ; ხოლო მოპირდაპირემ მოუგო:

— მე, ქალი...

და ამაყად ყელი მოიღერა, კეკლუცად სახე შეათამაშა, გაიღიმა დასამშვენებლად, რათა **მე** გალმერთებული მოეხიბლა, მოეპყრო...

— „ქალი“!...

განიმეორა ნიავმა, როს მოსტაცა ქალის ბაგეს ნაზი ამოძახილი ხმა და მოჰხვდა **მეს** სმენას

მე—ღმერთა ამ ხმამ სმენად გარდააქცია. ქალის მშვენებამ, ბაგეთა შერხევამ თავბრუ დაასხა; მთელი სხეული ურუანტელმა მოიცვა; ძარღვები დაებერა; გულმა ტოკვა დაუწყო, მთლად აცახცახდა...

— ეს არის ის...—ასმენდა გრძნობა,—კეკეშირი შენი...

— შენ...

მე თრთოლვით მიუახლოვდა; მოიზიდა, ვით ძლიერმა; ქალი მოეკრა.. გაერთიანდნენ...

ამ დროს „მე“ და „შენ“—ადამიანნი—შეერთდნენ, შესისხლხორცდნენ; ერთ სულიერ გრძნობად გარდაიქმნენ; ცხოვრების სულიერ საგნად გარდაიქცნენ...

ხოლო, არა ხანგრძლივად, ვით ვარდი, რომელიც „მე“ და „შენ“-ის მეხებით დასჭნა, დაიფურცლა...

წუთიერი იყო ეს ცხოვრების სიამოვნება, რადგან ადამიანისათვის ეს ყოველი სიზმარია...

IV

ბუნება ალარა სდუმდა, არამედ სცხოვრობდა.

მზე ამოსულიყო, თავის სხივებით მიწას აცხოველებდა.

დედამიწა ზურგს იშრობდა, ნაყოფიერებას ასაზრდოებდა.

ყოველი მცენარე—შვილი მიწისა—ხარობდა; თავის მოძრაობით დედამიწას ნიავსა ჰგვრიდა, ამით კი მის მშობელს—გულ მკერდს უგრილებდა.

მაღლა ფრინველები თავისუფლად დაჰფრენდნენ, თავს ევლებოდნენ ადამიანსა; ხოლო ძირს ცხოველნი დანავარდობდნენ, ადამიანს მოურიდებლად გარს ეხვეოდნენ, ნიშნად თაყვანის ცემისა.

ყოველი მიწის შვილი, უსულო თუ სულიერი, ხარობდა და ამით არე-მარეს აკოცხლებდა.

ხოლო, მათ შორის, ორი ადამიანი: ქალი და კაცი მედიდურობდნენ, ერთმანეთს აღმერთებდნენ.

— შენ...—ეთაყვანება გატაცებით კაცი-ადამიანი.—შენა ხარ ჩემი თაყვანებელი.

— შენ, შენა ხარ ჩემი ღმერთი...

უალერსებს ქალი—ადამიანი, ღიმილით ჰხვევს ხელს, ვით წნელს, რათა მოიზიდოს მოხიბლული.

— შენ, ღმერთი ხარ, ჩემი ღმერთი...

ეფუჩუნება იგივე ქალი, ჩასცქერს თვალებში, ვით მაცდური ევას, რათა მოიპყროს.

— შენ გალმერთებ... ხოლო მსურს მე...

— შენ გცე თაყვანი?!..

მიუგო აჩქარებით კაცმა და მის წინ დაეშო მუხლებზედ, ვით დამონებული.

— არა, მსურს მე...

— რომ გეთაყვანო?..

— მე, ისე, როგორც შენ...

— მე თუ გალმერთებ, ყოველი შენ გეთაყვანოს...

უთხრა კაცმა დამონებულმა და გადახედა ბრძანებითა.

— ეს მსურს მე... ყოველი შენ გეთაყვანოს, როგორც მე... ნიშნად ამისა შეგმოსავ ფოთლით, ვით მშობელი...

სთქვა და აღასრულა: გაფცქვნა ხეები და მწვანე ფოთლებით შეუმოსა სხეული ქალსა.

— თავს შეგიკონავ ვარდ-ყვავილებით სადიდებელად...

და მოუკაზმა ქალს თავი, მის წინ დახარა თავისი თავი, ვით მის მონამა.

— შენა ხარ ჩემი ღმერთი...

შეტრფოდა კაცი და თაყვანის ცემით თავს ევლებოდა.

ხოლო მცენარენი-კი კვნესით იხრებოდნენ და წყნარ ნიავის საშუალებით ზენას შესჩიოდნენ:

— „რა, რა დავუშავეთ ადამიანს?.. რათ მოგვწყვიტა, რათ მოგვაშორა მშობელს... ჩვენც ხომ საცხოვრებლადა ვართ გაჩენილი“?..

მაგრამ ზენას რა მოაცლის, მზის ბრწყინვალებით გართულს, ან ბუნებას, მზის სიცხოვლით მრთოლვარეს?

ადამიანი, ხომ ველარას ამჩნევს, გრძნობა დაკარგული, გარდა მოპირდაპირე ქალისა, რომელშიაც ჰპოვებს თავის არსებობას.

— შენა ხარ, შენ! ჩემი თვით არსება, ღმერთი...

თავდავიწყებით მიყრდნობია ქალის გულ მკერდს და გარს კი ყოველივე დავიწყებია.

მცენარენი კი ილუნებიან, დედამიწაზედ აფრქვევენ ღეროებიდგან, ვით სისხლსა, ცრემლებს; მათი მშობელი მიწაც: იკრეფავს ამ ცრემლებს, ნაკადულებით ამდინარებს თავის მკერდზედ და შემდეგ იგუბებს თავის გულის-კოვზედ.

V

—„ჩშშ... მოდიან“...

გაეხმაურა მშობელი მცენარეთა, რათა ენიშნებინა მათვის მომავალი ადამიანნი.

— „ვაიმე, მშობელო, გავისრესენით“...

კვნესოდნენ ადამიანთა ფეხ-ნაგომი მცენარენი და გატკეპნილნი ღედამიწას ეკვროდნენ, რათა ტკივილები მშობელს გაეყუჩებინა.

ხოლო ქალი და კაცი მოდიოდნენ ალერსით კმაყოფილნი და ვერ ამჩნევდნენ: უკან ნაფეხურებსა, წინ კი გზა ეკლიანსა.

— ვუიმე!..—შეჰკივლა ქალმა—ეკალი...

— დამენდე, ამოგიღო...

მიმართა კაცმა. გულ მტკივნეულად, შეეჯდა მხარში, დაიღუნა და ფეხიდგან ეკალი გამოიღო.

— მე გულში ჩამრჭობოდა, ვინემ შენგან ეგ ხმა ტკივილისა გამეგონა..

— რა კეთილი ხარ...

ალერსით მიუგო დამშვიდებულმა ქალმა და კეკლუცად თავი კაცის მხარზედ დააყრდნო.

— ხოლო ამ დროს მცენარენი ერთმანეთში გაიძახოდნენ:

— „ულმობელია ადამიანი“...

კაცს, ადამიანს კი ეს არ ესმოდა, რადგან ფიქრობდა: ფეხში ეკალი კვლავ არ შერჭობოდა.

„—მე ვარ ადამიანი.“—ფიქრობდა იგი. „—ყოველი ჩემთვის, ჩემივის, არის გაჩენილი“...

ეს გაივლო აზრად და მოისაზრა:

გააძრო ცხოველს ტყავი, არ მოერიდა მის გრძნობიერს ბლავილს, და შეუმოსა ქალს ფეხი ქალამანითა.

— რა მოხერხებული ხარ.

შეაქო ქალმა და ალერსიანად წელწედ ხელი მოჰხვია.

— მე ვარ ადამიანი...

ამაყად წამოიძახა კაცმა და განაგრძო გზა.

—„ადამიანი გაუტანელია“...

ბული ლრიალით მოექანება, მოაქვს ყოველი, რაც კი შეჭფეთებია; ერთ წამს თუ მოიკრიფება, ვით შევიწროვებული, მეორე წამს ძალა-მოკრებილი გამოექანება ტალღებით ნაპირებისაკენ, რომ გადაეფინოს მთელ მიწას წასალამად; ხოლო როს კალაპოტი დედამიწისა მას ნებას არ აძლევს, ისევე ბრუნდება და უმადურის ხმაურობით ბუტბუტებს:

— „ადამიანს?!.. დავახრჩობ“...

— მე ხიდს გავსდებ...

წამოიძახა ამ დროს ადამიანმა, რა მოისაზრა. წამოაქცია ხე, გასდო მდინარეზე, მისთვის დამუქრებული აზვირთებულს მომავალზედ ხიდად და ზედ გავიდა „მე“ „შენი“ თურთ.

გავიდა ადამიანი ხიდზედ...

მაგრამ ქარი მაინც ჰქროდა: მდინარეც ადამიანის საწინააღმდეგოდ ღელავდა; ხოლო ადამიანი—„მედა“ „შენ“—ხიდზედ განვლილი, წინ მიილტვოდ...

ბუნებაც თავისებურ იდუმალობით ადამიანის მოწინააღმდეგეთ უპასუხებდა:

— „ადამინი?!... მიწიერი ღმერთია, ღმერთი“!...

VII

მოდის ადამიანი შეუპოვრად...

მაკრამ იგრძნო დაღლილობა, ვით ღმერმა მეშვიდე დღესა და შეისვენა...

— ყოველის შემძლებელო...

ეფუჩუნება ქალი.

— შენ ჩემო...

ხოლო მის წინ მუხლ-მოდრეკილი კაცი-ადამიანი ალარ აცლის, ვით მორჩილი, უპასუხებს:

— მე შენით, ჩემო ღვთაებავ!...

— შენით, შენით, ჩემო...

კან. წვრილ-კრედიტის ინსტიტუტი უკვე იყო აქ და შესაფერი დარიგებაც მისცა კეთილობას. უკანასკნელნი მოხარულნი არიან ამ წვრილ-კრედიტის დაარსებისა, რადგანაც კიეგეს, რომ ეს დაწესებულება ერთად-ერთი საშუალებაა ჩათოგის ჩარჩების ხელიდან თავის დასაფეგად.

ვნახოთ სახნავ მიწის ეკრედ წოდებული „კოხის“ მოჯარადნენი, როგორ პირნათლად შესრულებენ თავიანთ მოვალეობას, ე. ი. სრულად შეიტანენ თუ არა იმ ფულს სკლეხბანკში, რომელიც ყოველ წლობით უნდა იქმნას შეტანილი შემოდგომის დრო. ხმები იყო, რომ მოჯარადრენი პირნათლად არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და ამიტომ საჭიროა მათ წრეულს მაინც დაგვანახონ თავიანთი სიმართლე. *)

საერთოდ როგორც მთელ მეჯვრის ხეების რაიონის საზოგადოებამ, ისე მით უმეტესად, აღგილობრივ ბოქაულმა დიდი ეურადღება უნდა მიაქციონ კოხში მიმავალ გზას. საქმე იმაშია, რომ მდინარე მეჯულას მეჯვრისხეები გან ასე მესამე ვერსტზე შესამჩნევ ადგილ მოუკლეჯნია გზის პირი. ახლა გზის სიგანე ამ ადგილას არ აღემატება ოთხ აღგს. ერთს კაზაუხულს მეჯულის მოდიდებაც და მშვიდობით, გზავ!

როგორც კაზეთებიდგან კვიგეთ, ლ. ყოთანისთვის მთავრობას ნება დაურთია, რომ კოხიდგან ცხინვალამდე ავტომობილი ამუშაოს. მეჯვრისხეების საზოგადოება დიდი მოხარული და მადლობელიც იქნება, თუ კოხიდგან მეჯვრისხეებამდინაც ავტომობილს ამუშავებენ. გზა ავტომობილისათვის კარგია. **წერაქვი.**

ახალციხე. წელს, ჩვენში პურის მოსავალი საშუალოზე ბევრად ნაკლები მოვიდა. ქერს არა უჭირდა რა; თივა და ბზე ბლომად იყო, პურიც კარგი იქნებოდა, რომ ხანგრძლივ კაზაფხულის წვიმების დროს ცხარე მზეს არ კარგიეკვა; ხიდი, კართოფილი და სხვა აეტაცხა. ბოსტნეული, ხოლო ლობიო ძალიან ნაკლებია.

აქედან ოდესსა-რუსეთში დიდი ძალი გაშალი მიდის, ჯერ ჯერობით თითქმის 200 ვაგონი კასუდა.

*) იხ. „სახ. გაზ.“ N 6.

ეფუჩუნება ქალი და თავზედ ხელს უსვამს ალერსით, ვით მომჯადოებელი, დამშონებელი,

ხოლო კაკი-ადამიანი მას ფიანდაზად ეშლება.

— უშენოთ კიყავ არა-რა... ხოლო როს გიხილე შენ... მაშინ შევიქენ მე ღმერთად... შენ ახარ ჩემი გრძნობა... შენით შევეხე თვით დედამიწას, გამოვიღე მისგან ნაყოფი არსებობისა... შენთვის მოვსტაცე თვით ჰაერს ცეცხლი, რომ გული არ გაქციებოდა... შენთვის ავაგე ეს სასახლე... არ დავინდე თვით ცხოველნი და შენ მოგიტანე მსხვერპლად... შენ დაგიმონე ყოველი... შენთვისა მყავს გალიაში მსტვინავი ბულბული... შენთვის გავდე ხიდი მდინარეზედა... შენთვის ჩაუშვი მცურავი ნავი უძირო ზღვაში...

— რომ შენთან ერთად შიგ გვეცურა... რა კეთილი, რა ძლიერი ხარ...

ეუბნება ქალი ალერსით, ჩასცქერს კაცს თვალებში, ვით მაცდური...

კაცი ადამიანიც ჩაიხედავს ქალის, თვით თავის გვერდის, თვალებში, ვით უძირო ზღვაში, და იღუპება.

— მე ღმერთი...

— მეც შენი გვერდი...

— მაგრამ... მე ადამიანი, ყოვლის შემძლე, მყრობელი მიწიერისა, აქ ღმერთი... ვეძებ ჩემს გრძნობას... ვიცი იგი შენშია.., ხოლო სად მე—ღმერთმა—ვერ ვიგრძენი...

— თვალშია...

— ჩავიხედავ... იგი უძიროა, ვით ზღვა...

— ვით მზე მიუწდომელი...

— ჩემთვის?...

წამოიძახა მე ადამიანმა.

ადგილობრივ ბაზარზე ფასია:

ხორბალი	90 კაპ.	ყველი	6.20-7 მ.
ქერი	55 კ.	გამოცხვარი პური	8 კ.
სიმინდი	75 კ.	თეთრი	4 კაპ.
ლარხანა	20 კ.	თალხი	3 კ.
ლობიო	1 მან.	თორნისა	3½ კ.
თივა	40 კ.	ხორცი:	
ბზე	15 კ.	ცხვარისა	10 კ.
კართოფილი	22 კ.	თხისა და კამეჩ.	8 კ.
ერბო	12-14 მ.	ძროხისა	9 კ.

ამ უკანასკნელს ხანებში მეკვლდობა კახშირდა. განვდილ კვირას, ცხინვალის ახლოს, ავზსაკებმა დახოცეს ოთხი ხიზანავრელი, რომელთაც 1,500 მან. წაართვეს ტეეში და მიიმალნენ.

20 ოქტ. დამის 10—11—საათზე, ხაზინის მოხელემ ტრ. მაისურაძემ თავის სახლში რევოლვერით მოჭრა სამხედრო მუსიკის კაპელმეისტრის თანაშემწე გასიდეკსკი.

მოკლული თურმე ტ. მაისურაძის ცოლს ეკუთვნოდა. იმ სადამოს მაისურაძე ხაზინას შეთვალეურობდა თურმე, რადგან ეჯვი ჭეფნია, სახლისაკენ გავიდა ორიოდე წუთით, სადაც გასიდეკსკი უნახავს და კიდეც დაუხდია ექვსჯერ რევოლვერი. რაკიდარ კვესმის, მკვლელს წინწინვე კამოცხადებული ჭეფნია გასიდეკსკისათვის, რომ მოკვლადა იგი, თუ შეხვდებოდა თავის სახლში.

კვლიდან მოჭკლეს ორი კაცი. ერთი მათგანი მემამეული, კერძო ვექილი კარ. ბაბურთელი იყო, რომელიც თავისავე ბიძაშვილმა მოჭკლა რევოლვერით. მკვლელს თურმე სახარჯო ფულები უთხოვნია თავის ბიძაშვილისათვის, რომელსაც არ მიუცია.

ჩვენში, დიდი ხანია მოისმა ქარი. ეული წარმოდგენები. ჩვენს საზოგადოებასაც ეს უნდოდა რადესაც იდგმებოდა, ბიდეთების კამეფდეკლებს ხშირად უსაეეკლურებდნენ: რა კაკეგიჭირეთ საქმე თქვენის ბიდეთებითო!.. ახლა კაიხარონ, ის კრიშები ჯიბეებში დარჩენებთ არ ვიცი, რითი უნდა ასახარდოონ ადგ. რაბათის დედათა სკოლა და ბიბლიოთეკა, რომელთა ბენეფისი წარმოდგენების შემოსავალებზე იყო დამოკიდებული!..

მესხი კ. გვარამაძე.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრის სეზონის პირველი თვე. 26 ოქტომბერს სწორედ ერთი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც ქართულ თეატრის სეზონი დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში გაიმართა 13 წარმოდგენა და ორიც სალიტერატურო—სამხატვრო საღამო.—წამოდგენილ იქმნა ათი პიესა, ამათში ხუთი ახალი, ისეთი, როგორიც ჯერ ქართულად ტფილისში არ წარმოუდგენიათ, და ხუთიც ძველი, უკვე წარმოდგენილი. გარდა ამისა წარმოდგენილ იქმნა ორი ეროვნული („უბედური დღე“—ბალანჩივაძისა, „არც აქეთ, არც იქეთ“—ვ. გუნიასი) და ერთიც ერთმოქმედებიანი სცენა („სიკვდილი ნაპოლეონისა“).

ამ ათს პიესაში ორიგინალური იყო ოთხი: „სამშობლო“ დ. ერისთავისა (სარდუს პიესიდან გადმოკეთებული) „სიმახინჯე“—ნ. შიუკაშვილისა. „გამხმარი ფოთოლი“—მისივე და „მეგობრობა“—მისივე.

ნათარგმნი პიესები იყო ექვსი: „მზის ამოსვლამდის“—ჰაუპტმანისა. „სატანა“—გორდინისა.

„შავი ბერი“—ლ. ტოლსტისა (ჩეხოვის მოთხრობიდან გადმოკეთებული).

„კრეჩინსკის ქორწინება“—სუხოვო-კობოლინისა.

„ნიშანი ყოფა-ქცევაში“—შვაიერისა და „ვიდრე ხვალ უფალო“—სოგოლიშჩიკოვისა (სენკევიჩის რომანირან გადმოკეთებული).

13 წარმოდგენიდან ხუთს რეჟისორობდა ვლ. ალექსი-მესხიშვილი) „სატანა“, „გამხმარი ფოთოლი“, „შავი ბერი“, „კრეჩინსკის ქორწინება“ და „ნიშანი ყოფა-ქცევაში“), ერთს— ვ. გუნია („მეგობრობა“) და დანარჩენ 7-ს—ვ. შალიკაშვილი („სამშობლო“ (3), „სიმახინჯე“ (2), „მზის ამოსვლამდის“, „ვიდრე ხვალ უფალო“). ყველა პიესა წარმოდგენილ იქმნა თითო ჯერ, გარდა „სამშობლოსი“, რომელიც სამჯერ წარმოადგინეს და „სიმახინჯესი“, რომელიც წარმოადგინეს ორჯერ. დასი შესდგება 26 მსახიობისაგან, ამათში 11 ქალია, 15 ვაჟი. პირველ თვის განმავლობაში საგასტროლოდ მოწვეულ იქმნენ ვ. გამყრელიძე—სამჯერ (სამივეჯერ „სამშობლოსათვის“) და გ. გედევანოვი ერთხელ (ხილონი „ვიდრე ხვალ უფალო“).

მსახიობთაგან პირველ თვეში ყველაზედ მეტი გამოსვლა შეხვდათ: ქ. ქ. დავითაშვილს, ჯავახიშვილს და ქილარჯიშვილს ბ. ვ. შალიკაშვილს, გუნიას, მდივანს, ზარდალიშვილს, არადელს, გვარაძეს, მგალობლიშვილს, ჟვიეძეს და მამფორიას. მიიღო მონაწილეობა ვლ. ალექსი მესხიშვილმა ხუთ წარმოდგენაში („სატანა“, „გამხმარი ფოთოლი“, „შავი ბერი“, „კრეჩინსკის ქორწინება“ და ერთხელ (ლევან ხიმშიაშვილი „სამშობლოში“). ყველაზედ უფრო ძვირად შეხვდათ პირველ თვეში თამაში ქ. ქ. ტ. აბაშიძეს, პიერრეტას და კარგარეთელს; ბ. ბ. ვ. აბაშიძესა და კ. მესხს.

უცხოეთი

უძველესი გაზეთი დედამიწის ზურგზე.

ყველაზე უძველესი გაზეთი ქვეყანაზე არის—ჩინეთის მთავრობის მოამბე „კინგ-კოო“, რომელმაც 1911 წელს უნდა იდღესასწაულოს თავის არსებობის ათასის წლის იუბილე. სახელმწიფო არქივში შენახულია ამ გაზეთის ყველა ნომერი. ამ გაზეთის უკანასკნელი ნომერი სავსებით გავს ბირველ ნომერს, როგორც ფორმატით და ასოებით, ისე ქაღალდის დირსებით. ამ გაზეთის რედაქტორობა ერთობ სახიფათო და საშიში თანამდებობაა. რედაქტორი მოვალეა თავის სიცოცხლით აგოს პასუხი გაზეთის შინაარსის გამო. გაზეთის დაარსებიდან დღემდე შინაარსისთვის თავი მოუგვეთია 15 რედაქტორისათვის.

რუსეთი

კიდევ ვოსტროგოვი.

სინოდს წინადადება მიუცია ცნობილ დეკანოზ ვოსტოროგოვისთვის, ნოემბრის ნოემბრის პირველ რიცხვებში მოხსენება წარუდგინოს გაზეთების მიერ მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა შესახებ, რომლითაც მას ტფილისის გიმნაზიის მოსწავლე ქალების გაუპატიურებას აბრალებენ.

მაჰმადიანთა თხოვნა.

ვიატკის მაჰმადიანები შუამდგომლობენ სახელმწიფო სათათბიროს წინაშე, რომ პირველ დაწყებით სკოლებში დედა-ენას ფართო ადგილი დაეთმოს.

რედაქტორის განთავისუფლება.

მოსკოვის გაზეთის „რუსსკოე სლოვო“-ს რედაქტორი ბლაგოვი, რომელიც მურომცევის დამარხვის ანგარიშის დაბეჭდვისა გამო დაეპატიმრეს, უკვე გაუნთავისუფლებიათ 20 ოქტომბერს, ხელმწიფის ტახტზე ასვლის დღესასწაულის გამო.

ნაციონალისტების კლუბი.

ვარშავაში პურიშკევიჩისა და მენშიკოვის მონაწილეობით კლუბი უნდა გახსნილიყო, მაგრამ კლუბის გახსნა ვერ მოხერხდა, რადგანაც კლუბის წევრად მხოლოდ 12 კაცი ჩაეწერა.

რევიზია.

ამ ჟამად ომსკში სენატორი მედემი დაწესებულებათა რევიზიას ახდენს. ადმინისტრაციას ადგილობრივ გაზეთებისათვის სასტიკად აუკრძალავს რევიზიის შესახებ ცნობების დაბეჭდვა.

ბ. ი. რაჩკოვსკის გარდაცვალება.

ამ დღეებში გარდაიცვალა პოლიციის დეპარტამენტის ერთი ბურჯთაგანი, ცნობილი ბ. ი. რაჩკოვსკი, რომელმაც თავის „მოღვაწეობით“ წარუშლელი კვალი დაჩნია რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას.

კიშინევის გიმნაზიის გათავების შემდეგ რაჩკოვსკი არხანგელსკის გუბერნიაში სასამართლოს გამომძიებლად იყო, აქედან პეტერბურგს წავიდა და გაზეთებში თანამშრომლობას მიჰყო ხელი. სხვათა შორის, თანამშრომლობდა ერთს პროგრესიულ გაზეთშიაც.

ჩქარა რაჩკოვსკიმ გაზეთის თანამშრომლობა პოლიციის დეპარტამენტში სამსახურზე გასცვალა. ზოგიერთ ცნობებით, საიდუმლო პოლიციასთან კავშირი მას წინადაც ჰქონდა. აქ ის სუდეიკინის განკარგულებაში იყო. პოლიციის დეპარტამენტის მაშინდელს დირექტორ პლეევსთან განსვენებულმა რამდენჯერმე დააბეზღა თავისი ამხანაგი სამსახურით—დეგაევი, მას სუდეიკინის მოკვლა უნდოო, მაგრამ მას პლეევმ არამც თუ არ დაუჯერა, პირიქით ადგილიდანაც დაითხოვა.

დეგაევმა სუდეიკინი მოჭკლა და პარიზში გაიქცა. მის დასაჭერად რაჩკოვსკი გაგზავნეს, მაგრამ მკვლელმა ამერიკაში გაქცევა მოასწრო. ამის შემდეგ რაჩკოვსკი პარიზში დარჩა და საიდუმლო აგენტურის მოწყობას შეუდგა და ბევრი რევოლუციონერიც გადაიყვანა თავის მხარეს. რაჩკოვსკიმ ფართო ასპარეზი მისცა სამოდვაწეოდ ლანდეზენ-გარტინგს, რომლის პროვოკატორობაც შარშან ბურცევმა გამოაშკარავა. რაჩკოვსკიმ, გადაიბირა აგრედვე ცნობილი რევოლუციონერი ტიხომიროვი. მ. დალ წრეებში რაჩკოვსკიმ ამის შემდეგ დიდი გავლენა და სახელი მოიპოვა. პარიზში იგი ამ დროს დიდს პოლიტიკურ როლს თამაშობდა. მას კავშირი ჰქონდა რესპუბლიკის პრეზიდენტებს კარნოსა და ლუბეთთან, მინისტრებს ფლორანსა და კონსტანთან და ბოლოს ვალდეკ-რუსოსთანაც.

რაჩკოვსკის ვარსკვლავი ჩქარა ისევ ჩავსვენა, რადგანაც შეტაკება მოუვიდა პლეევსთან, რომელმაც უკვე მინისტრობა მიიღო. რაჩკოვსკის აეკრძალა ცხოვრება როგორც რუსეთსა, ისე საფრანგეთშიაც და ისიც გადასახლდა ბელგიაში.

ტრეპოვის დროს რაჩკოვსკი ხელ-ახლა დანიშნულ იქმნა თანამდებობაზე—პოლიციის დეპარტამენტის პოლიტიკურ ნაწილის გამგედ.

ერთხანად რაჩკოვსკი გაგზავნილ იქმნა მოსკოვის ამბოხების ჩასაქრობად, სადაც მან რევოლუციონერების წინააღმდეგ მეტად სასტიკი ზომები მიიღო.

ტრეპოვის სიკვდილის შემდეგ მისი ვარსკვლავი კვლავ ჩაესვენა. გავლენა მას კიდევ ჰქონდა, მაგრამ პასუხ საკებ საქმეებს აღარ აძლევდნენ.

რაჩკოვსკი სცხოვრობდა თავის ვილაში, პარიზის მახლობლად. აზეფის პროვოკატორობის გამოაშკარავებამ მასზე ცუდად იმოქმედა. აზეფი მისი შეგირდი იყო.

ამას წინად რაჩკოვსკი რუსეთში დაბრუნდა და ვიტებსკის გუბერნიაში მამული იყიდა. მოკვდა გზაზე, როდესაც თავის მამულში მიდიოდა.

წერილი რედ. მიმართ

მ. ს. ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის მახლობელ № —ში ამ ჩემს საპასუხო წერილს ადგილი დაუთმოთ და მით მომცეთ საშუალება თავი ვიმართლო უგვანო ცილის წამებისაგან. „ჩვენი აზრის“ № 11 მოთავსებულია საპტრედიდან აგენტის წერილი, სადაც ეს ვაუბატონი—ჩემ მიერ დაუმსახურებულ ინსინვაციას ავრცელებს ჩემზედ. მე მას მივმართე ორჯერ, გამომყოლოდა საამხანაგო სასამართლოში და დაემტკიცებინა მის მიერ წამოყენებული ბრალდებანი, მაგრამ ამოდ... ამიტომ მივმართავ უკანასკნელად, გამომყვეს სამედ. სამართალში და დამიმტკიცოს 1, 2, 2, 4, მუხლები ბრალდებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში საბუთი მაქვს ვუწოდო შესაფერი სახელი. ვადას ვაძლევ დღეიდან გამოცხადებისა 4 დღეს.

ყარამან კობალეიშვილი.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და ხიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—211)

◀ მოზაბარეთათვის ▶

თავშესაფარი

გეგია-ქალის

თუხარელისა.

ოლგას ქ., ხაბეიდ ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—დან ნაშუალადღევის 1 ს. (თ.—711-20)

გამოცდილი მასწავლებელი

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც)

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ აღიგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავეკალის ქუჩაზე, ეაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахалонкѣ противъ вокзала). (თ—152—9)

ექიმი ნიკო ერისთავი ბათომში

ამბულატორიულ სამკურნალოს ეწევა ყველ ავადმყოფებს. ბინაზე, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს. მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლავებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციგა-ცხელების დიაგნოზი აბალის მეტოდით, სისხლის და ნაწვალის მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ბათომი ვლადიკავკაზის ქ. N 24. (20—171—2)

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ბ. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ბ. ბ. კარაბეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. ბგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშტეინი: 5—6 ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ლ. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. დარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები

ე. ლალიძისა და სმხ.

მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

◀ **წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოებულია ოქროსა და ვერცხლის მედლით.** ▶

ქარხნები: ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე. (20—139—5)

ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.

ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარ-გარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შეეძინე დიდძალი მაუდეულობა. ყველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები

◀ **ჩემის ხელმძღვანელობით** ▶

ყველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილ სინდისიერად. (20—127—6)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთლევის მრეწველობისა

სალიანის თევზთ მრეწველ და ვოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

●მაღაზია●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) **და სევრიუგა** (ტარაღანა).

ზიზილალა

ახალი, (Зернистая).

—◀ პარკისა და კოლოფებით ▶—

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

და ყითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—16)

საუკეთესო ყალეული (Кетовая) ხიზილალა

ერთად-ერთი საწყობი ფოთლევის მრეწველობისა.

ეფუჩუნება ქალი და თავზედ ხელს უსვამს ალერსით, ვით მომჯადოებელი, დამშონებელი,

ხოლო კაკი-ადამიანი მას ფიანდაზად ეშლება.

— უშენოთ კიყავ არა-რა... ხოლო როს გიხილე შენ... მაშინ შევიქენ მე ღმერთად... შენ ახარ ჩემი გრძნობა... შენით შევეხე თვით დედამიწას, გამოვიღე მისგან ნაყოფი არსებობისა... შენთვის მოვსტაცე თვით ჰაერს ცეცხლი, რომ გული არ გაქციებოდა... შენთვის ავაგე ეს სასახლე... არ დავინდე თვით ცხოველნი და შენ მოგიტანე მსხვერპლად... შენ დაგიმონე ყოველი... შენთვისა მყავს გალიაში მსტვინავი ბულბული... შენთვის გავდე ხიდი მდინარეზედა... შენთვის ჩაუშვი მცურავი ნავი უძირო ზღვაში...

— რომ შენთან ერთად შიგ გვეცურა... რა კეთილი, რა ძლიერი ხარ...

ეუბნება ქალი ალერსით, ჩასცქერს კაცს თვალებში, ვით მაცდური...

კაცი ადამიანიც ჩაიხედავს ქალის, თვით თავის გვერდის, თვალებში, ვით უძირო ზღვაში, და იღუპება.

— მე ღმერთი...

— მეც შენი გვერდი...

— მაგრამ... მე ადამიანი, ყოვლის შემძლე, მყრობელი მიწიერისა, აქ ღმერთი... ვეძებ ჩემს გრძნობას... ვიცი იგი შენშია.., ხოლო სად მე—ღმერთმა—ვერ ვიგრძენი...

— თვალშია...

— ჩავიხედავ... იგი უძიროა, ვით ზღვა...

— ვით მზე მიუწდომელი...

— ჩემთვის?...

წამოიძახა მე ადამიანმა.

— მზე მიუწდომელია..,

— მე ადამიანი...

განიმეორა ადამიანმა

— ვერ მიუწვდები... იკმარე მისი სხივი, ვით ჩემი ქალობა...

— მე ადამიანი ფრთებს შევისხამ..

— დაგვწვავს...

გააკრთხილა ქალმა.

— „მაშინ გაგიწყრება ღმერთი“...

წაეფუჩუნა თავისებურად ბუნება მე—ადამიანის საგრძნობელად.

მაგრამ ადამიანი მაინც ფრთებს ისხამდა... შეუპოვრად მზისკენ მიფრინავდა...

VIII

ადამიანი, დაუკმაყოფილებელი მზისა სხივითა, ფრთებ შესხმული მიექანება მის სიცხოველისაკენა...

მაგრამ ფრთები მოეწვა... ადამიანი დაეშო დედამიწისაკენა და გრძნობა დაკარგულმა წამოიძახა:

— დედავ!...

დაეცა ამ ამოძახით ძირს მიწაზედ უგრძნობელი, ვით მძოვარი...

— „ჩემთან!“...

მიაძახა მიწამ საიდუმლოდ და მიიხუტა ადამიანის სხეული, ვით მშობელმა.

— „გარდაგცვლი!“...

დასძინა ბუნებამ თავისებურად, რა ესმა ადამიანის მიწაზე დაცემა.

ხოლო ქალმა დახედა გარდაცვლილს ადამიანს და წამოიძახა:

— მე ვშობავ მაგის ნაყოფსა...

სწორედ ამ დროს ქალის სხეულში მომავალმა გაიფუჩუნა:

— „მე ვარ ნაყოფი მამა .....“

და ეს ფუჩუნი ბუნებას ესმოდა, სანამ ადამიანის „მე“-ს ნაყოფი წარმოიშვებოდა...

ს. გლახაშვილი.

სტამბა „ხინკალი“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ირაკლი სულხანიშვილი